



PROBLEMATICS OF REALIZATION OF ADVERSARIAL PRINCIPLE AND THE PRINCIPLE OF EQUALITY OF ARMS AT THE STAGE OF THE INVESTIGATION

Mikheil Mamniashvili

✉ mikheil.mamniashvili@gmail.com

Doctor of Law, Professor, Georgian Technical University, Georgia

ARTICLE INFO

Article History:

Received 28.09.2024
Accepted 14.11.2024
Published 30.12.2024

Keywords:

Equality of Arms and
Adversariality, Investigator,
Criminal Prosecution,
Investigation

ABSTRACT

Criminal Procedure Code of Georgia tries to share the Anglo-Saxon law system model, which is based on "pure" equality of arms and adversarial principle; this can be said according to the requirements of the 9th article of the Criminal Procedure Code of Georgia regarding that at the beginning of criminal prosecution, the criminal process is being executed based on equality of arms and adversariality of the parties. The party is entitled to apply for a petition according to the rule established by Procedural Legislation, obtain via court, request, submit, and examine all the relevant evidence.

Theoretical study of equality of arms and adversariality model stipulated by Georgian criminal procedural law, regarding that at the criminal prosecution stage, equally as the prosecution (investigator, public prosecutor) – defense (the accused, lawyer) is also granted with opportunity, collect the beneficial evidence by conducting the investigative actions and for refusing the guilty (offense) the accused charged with.

Work has analyzed the problematics of the principle of equality of arms and the adversarial principle stipulated by Georgian procedural legislation, their procedural regulations, and those negative sides

that hinder their complete and fair realization in investigative practice. Attention is drawn to the necessity of legislative changes in the investigator's authority, in particular, the investigator should not represent the prosecution (party of charge), but he/she should be an independent procedural subject, being obliged to obtain both – incriminating and exculpatory evidence of prosecution (party of charge) with the same diligence, that will encourage the fair realization of equality of arms and adversarial into criminal procedural proceedings.

INTRODUCTION

According to applicable procedural legislation, criminal prosecution bears only public character and the public prosecutor exercises it, it is only under his / her discretionary authority to commence or/and terminate the criminal prosecution, whilst he guides with public interests and #181 order of the Minister of Justice “About assertion of the general part of criminal policy guidance principles” (dated as of 8th of October, 2010), during of which he takes into consideration as how much priority has the criminal prosecution per particular crime for the state – fewer resources of the country should be spent on crimes with minor significance. Coming out of this, a public prosecutor should analyze the gravity and nature of crime and find out how corresponds the commencement of public prosecution for a particular crime to the public interest. Even though lots of gaps are observed in the mentioned order by the minister of justice, it contradicts the applicable criminal procedure code of Georgia and other legislative acts – it remains in force, unfortunately.¹

REGULATIONS CHARACTERIZING EQUALITY OF ARMS AND ADVERSARIALITY

Adversarial proceedings become effective since the criminal prosecution's commencement; from this stage: a) parties are entitled to apply the court for the petition under the rule established by law regarding obtaining or/and request of evidence; b)

obtain the evidence independently – by themselves; c) actively participate in the examination of their or opposite party's evidence; the accused becomes an individual collecting the counter-arguments of guilt, who process the ways of evidence collection by himself/herself. Evidence obtained by the accused possesses an equal power as one – obtained by the prosecution (party of charge).

A defense party is not needed whilst applying the investigator and public prosecutor for the performance of investigative actions or the acquisition of any type of document or other materials, for this purpose, they are entitled to directly apply to the court, thus being in comparatively equal conditions with prosecution (party of charge) in this regard. Especially should be mentioned the regulation of examination of the witness at the investigation stage, whilst both – the prosecution (party of charge) and the defense party are authorized to apply to the magistrate judge for a petition regarding the examination of the person (to be examined) as a witness.

The accused and his / her lawyer (under the bounds established by the Criminal Procedure Code and according to the determined rule) are entitled to introduce to the evidence of prosecution (party of charge) and receive copies of evidence and criminal case materials. Besides, the prosecution is entitled to be aware of evidence of the defense party. Actually, during the court hearing the parties are well acquainted with the evidence, upon which their position stands and they are granted with full opportunity to prepare in a qualified manner and decently resist the opposite party.

Entitling the defense party to an independent investigation does not imply at all that it is charged with the burden of proof to refuse the guilt. Coming out of adversariality form, an objective person may

1 Gakhokidze, J., Gabisonia, I., Mamniashvili, M., & Moniava, P. (2018). Investigative law, Book I, Publishing House “World of Lawyers”, pp. 213-229.

have an impression that the defense should prove its innocence, and that's why the legislator has granted it such rights related to the collection of evidence, but it is not so. The accused is charged with the burden of proof of guilt and the defense party has no legal obligation to self-justification – notwithstanding the equality of the parties, the burden of proof regarding the admissibility of the prosecution's evidence and inadmissibility of the defense's evidence is laid on the accuser. Process of equality of arms and adversariality is intended for parties to be involved in the legal dispute," – mentions Stefan Trechsel.

Equality of arms and adversariality are also guaranteed by that – 5 days before the pre-trial hearing parties are obliged to deliver to the court and each other complete information holding by that moment, which they are going to submit in the court as evidence (83rd article of Criminal Procedure Code). Besides, procedural legislation assumes the possibility to introduce the defense party to information obtained by the prosecution (party of charge) at any stage of the process, which by itself obliges the defense party (on demand) to supply the prosecution (party of charge) with that information, which it intends to submit in court as evidence; moreover – if the party violates the established rule regarding information exchange and won't deliver the opposite party information in the complete form held by that moment – this circumstance will cause the court to recognize this material as an inadmissible evidence. There is an exception from the mentioned rule, which may be counted as the supremacy of prosecution (party of charge) – whilst the prosecution (party of charge) is entitled not to assign the defense party with information acquired as a result of operative and investigational activities, but this applies only before the pre-trial hearing. There also existed exclusive rights, which were used by the defense party; in particular, not submitting one extremely important evidence to the prosecution (party of charge) that didn't cause the recognition of that evidence as inadmissible during the hearing of a case on the merits. In such a case, the defense party was charged with a fine and liability to reimburse the procedural expenses, which was unjustified, as it was unfair to grant the right and then a fine for its application. Indeed, this gap was further fixed, but this regulation (84th article of

Criminal Procedure Code) was recognized as invalid by the legislator on the 1st of September, 2010.

Sign characterizing adversarial model is that evidence is only information and the subject, document, material, or other object consisting of this information submitted in the court, based on which the parties confirm or refuse the facts in the court, legally examine them, fulfill duties, protect their rights and lawful interests (23rd part of 3rd article of Criminal Procedure Code). Thus, only the evidence, those submitted during the court proceedings and examined by direct involvement of the parties may be considered as the basis of judgment.

Adoption of the standard of proof constitutes a positive legislation novation for the achievement of adversarial proceedings. The realization of the standard of proof depends on the information, evidence obtained by parties, and the positions supported by arguments. Evaluation of all four standards is performed on the adversariality basis via evidence submitted by parties; besides, only the court is entitled to evaluate the evidence obtained and submitted by parties and recognize them as inadmissible. Thus, only the submission of evidences is not essential for the resolution of the case, the role of the court is significant herein, which ultimately adopts the resolution regarding the admissibility and relatedness of the evidence.

Indeed, discussion of the problematics of equality of arms and adversariality during the court hearing is not a subject of our research, but it can be said with certainty that realization of the mentioned principle is more observed during the hearing of a case on the merits in court, whilst the judge is impartial and indifferent observer towards all having the place during the dispute discussion. He/she is obliged to fulfill only one thing – observe that prosecution and defense parties have equal opportunities for submission, examination of evidence, and grounding their positions,² and when the examination of evidence and discussion of the parties are over when the accused appear with his/her final word, the court should determine whether which party submitted more cogent and authentic evidence, as a result of which the judgment should be established – acquit the accused or find him / her guilty for crime and impose the measure of punishment.

2 Sanders, A. (1994). From suspect to trial, Oxford handbook of criminology. p. 131.

CIRCUMSTANCES HINDERING THE REALIZATION OF EQUALITY OF ARMS AND ADVERSARIALITY OF THE PARTIES

As fairly is referred to in legal literature – equality of arms and adversarial of the parties in criminal proceedings is held only whilst the parties (prosecution, defense) are in equal condition. Equality implies legal and actual equality. Legal equality according to applicable legislation is formal, and actual equality is problematic on that state ground (economic hardship existing in the country is implied), on which a pure adversariality form of proceedings emerged.³

Realization of the principle of equality of arms and adversarial principle at the investigation stage is more hindered by incorrect and it can be said the unfair interpretation of public prosecutor's and especially investigator's status. Both of these subjects are considered as the prosecution (party of charge). The public prosecutor not only implements the criminal prosecution but he/she is the procedural head of the investigation. At the criminal prosecution's commencement, his / her activity is directed to collect the evidence proving the crime, whilst an investigator and operative and investigative services as well are considered next to him/her.

Thus, as we can see, two sides stand against each other at the criminal proceeding's commencement stage; the first side is represented by the public prosecutor and an investigator (under the duties of which is clearance of crime, investigation, implementation of criminal prosecution), which are equipped with modern criminalistic scientific-technical means for crime solution and investigation, they are entitled to apply the court with the petition, applying coercive measures (summon, arrest, imprisonment, etc.) with procedural nature towards some particular subjects and the second side is presented by accused and the lawyer, which often have no money and are unable to fund even investigation.

Besides, only the prosecution's exclusive right is to conduct a covert investigative action, monitor the bank accounts, conduct the investigative activities with urgent necessity, and implement operative

and investigative activities. The prosecution (party of charge) indeed represents the state and it should have more procedural triggers, but yet all these extremely negatively reflect on the equality of the parties.

equality of arms and adversariality proceedings are hindered most by that investigator is considered as the prosecution (party of charge), even though according to the legislation he/she is not entitled to independently resolve any of the topics, which may be considered as the part of criminal prosecution. He/she is not implementing the prosecution, nor adopts the resolution about the accusation – he/she does not apply the court regarding the application of preventive measures or coercive measures, does not commence or implement the criminal prosecution, he/she is not entitled to decide the performance of investigative activities – investigator presents the party of charge and he/she is obliged to collect only the incriminating evidence about accusation, but he/she is obliged to conduct the investigation completely and objectively in all aspects (2nd part of 37th article of Criminal Procedure Code).

A different belief is stated in the legal literature, for example: N. Mezvrishvili considers that 37th article of the Criminal Procedure Code charges the investigator to conduct the investigation completely and objectively in all aspects, which somehow implies that the investigator should obtain incriminating evidence and exculpatory evidence as well.⁴

We can not share the researcher's mentioned opinion due to a simple reason the word "objectivity" firstly implies the investigator's duty, to examine the evidence incriminating the accusation and exculpatory evidence and circumstances aggravating and mitigating the responsibility with the same diligence.

Objectivity is a just and moral requirement. It includes the impartiality of the investigator and excludes the subjectivism and biased approach (tendentiousness) by his / her side. Impartiality also implies that the investigator should not be interested in case outcome,⁵ but according to applicable procedural code, the investigator is considered as

3 Mskhiladze, L. (2015). Adversariality in criminal proceedings (Doctoral dissertation). Georgian Technical University. p. 86.

4 Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia. (2015). Edited by G. Giorgadze. Tbilisi, pp. 171-172.

5 Akubardia, I. (2014). Equality of arms of the parties and the role of the judge in adversarial proceedings. In M. Lekveishvili (Ed.), 85th anniversary compilation. Publishing House "World of Lawyers". p. 136.

the prosecution (party of charge) and accordingly, there's no point in discussing his "objectivity", as he/she must obtain only evidence incriminating the accusation. During the existence of such conditions, it seems impossible for the investigator to be the prosecution (party of charge) and even objective, and not be interested in case results at a time, moreover – even legislator has doubts about the investigator's "objectivity", whilst introduces the legal norm and is forced to charge the unauthorized official (head of investigative authority) to entrust the performance of investigative activities (search, seizure, etc.) by defense party satisfied by court ruling not to that investigator, which owns the current criminal case in the proceeding (or has doubts about its objectiveness), but choose another investigator; here rises a legit question: what kind of guarantee exists that other investigator would show up his / her "objectiveness", as he/she also presents the prosecution still?

A paradox situation occurs during the existence of such conditions, whilst two different investigators perform the investigative activities on the same case: one who has the current case in the proceedings and the second – who should perform the investigative activities required by the defense party, but actually, both of them represent the prosecution (party of charge).

For these purposes, we consider it expedient to strictly separate the functions of prosecution and investigation; the function of prosecution should be removed from the investigator. He/she should not represent the prosecution (party of charge), but would be an independent, impartial official, who will be charged to conduct a complete and objective investigation in all aspects, he/she should examine the evidence incriminating the accusation and exculpatory evidence and circumstances aggravating and mitigating the responsibility with the same diligence.⁶

Our insight in this regard is expressed by D. Benidze, who considers that it is better to release the investigator from the prosecution function and charge him/her only to perform the impartial, complete, and object investigation of the case: "investigator – says an author – can not be considered as

6 Gakhokidze, J., & Mamniashvili, M. (2015). Investigator in criminal proceedings. In J. Gakhokidze, M. Mamniashvili, & I. Gabisonia (Eds.), *Criminal proceedings of Georgia: General part*. Publishing House "World of Lawyers". pp. 139-140.

the prosecution (party of charge). Because of this, term "investigator" should be removed from 6th part of 3rd article of the Code"⁷

Professor L. Mskhiladze completely agrees to concept regarding the investigator's removal from the prosecution and she considers that by implementing such changes in procedural legislation, principle of equality of arms and adversarial principle in the legal proceedings will be processed in a better manner.⁸

M. Mdinardze also has doubts about the "objectivity" of the investigative activities by other investigators required by defense party, which firstly represents the prosecution (party of charge) and constitutes the officer of the same agency as well; thus, he quite fairly considers illogical even proving that he/she (the investigator) will act against the own panel, so he supposes that any investigative activity required by defense party restricting the human rights guaranteed by constitution (search, seizure, etc.) should be performed directly by defense party (lawyer, accused).⁹ This view by itself is not bad for ensuring the adversarial principle, as coming out of applicable procedural legislation, the realization of the principle of equality of arms and adversarial principle between the parties will be performed in a better manner, but still it will be best if the investigative activities will be held not by defense party but state official, investigator, as the state should be the only steady guarantor for lawfully performing these investigative activities, but provided it does not represent the prosecution (party of charge), but impartial and neutral character during the criminal legal proceedings.

It is impossible not to mention some particular negative aspects of the principle of equality of arms and adversarial principle, the realization of which will be extremely negatively expressed at the investigation stage, in particular: law does not oblige the prosecution (party of charge) to assign the exculpatory evidence already obtained. According to the 83rd

7 Benidze, D. (2014). Transformation of adversarial principle into the Criminal Procedure Code of Georgia. *Compilation of scientific works*.

8 Mskhiladze, L. (2015). Adversariality in criminal proceedings (Doctoral dissertation). Georgian Technical University. pp. 92-97.

9 Mdinardze, M. (2015). Some particular issues caused by legislative changes during the render justice. *Law and the World*, Special issue, 1(2), pp. 94-96.

article of the Criminal Procedure Code, the prosecution (party of charge) is obliged (on demand) to assign the defense party all the exculpatory evidence holding by that time. If we interpret the law, it will be obvious that in case of the absence of the relevant claim (requirement) by the defense party, the law does not oblige the prosecution (party of charge) to assign the defense party with exculpatory evidence, that should be considered as the gap of Code.

Exclusion of the victim from the composition of prosecution (party of defense), made adversariality more formal and it negatively influenced the adversariality process, as his / her role in the criminal procedural proceedings was weakened; this can be said coming out of fact, that his / her status merely encompasses the status of a witness.

At the plea bargain's conclusion, the defense party is not in equal condition as the prosecution, as an agreement between them depends on the public prosecutor's will and there exist no legislative mechanisms to control the public prosecutor's discretionary rights.

CONCLUSION

Such type of regulation of the investigator's status (we have discussed above) would undoubtedly encourage a better and real implementation of the

principle of equality of arms and adversarial principle in criminal procedural proceedings. Coming out of the investigator's authority and by its means, both parties would have been granted the opportunity to receive and realize the evidence beneficial for them.

Our opinion regarding this comes out of the dictation of that imperative norm (from "d" subparagraph of the 7th article of the Constitution of Georgia), by which criminal police and investigation belong only to special management of higher state bodies of Georgia.

Exclusion of the victim from the composition of prosecution (party of defense), made adversariality more formal and it negatively influenced the adversariality process, as his / her role in the criminal procedural proceedings was weakened; probably it would be better if the legislator would care to increase the rights of the victim.

Thus, as we were assured, legal equality of the parties does not imply their actual equality, but we still suppose that legislator should stipulate such type of regulation into criminal procedural legislation, that will put actual inequality of the parties at its minimum, that positively reflect on adversariality as well.

BIBLIOGRAPHY:

1. Akubardia, I. (2014). Equality of arms of the parties and the role of the judge in adversarial proceedings. In M. Lekveishvili (Ed.), 85th-anniversary compilation. Publishing House "World of Lawyers".
2. Benidze, D. (2014). Transformation of adversarial principle into the Criminal Procedure Code of Georgia. Compilation of scientific works. <https://www.nplg.gov.ge>
3. Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia. (2015). Edited by G. Giorgadze. Tbilisi.
4. Gakhokidze, J., Mamniashvili, M. (2015). Investigator in criminal proceedings. In J. Gakhokidze, M. Mamniashvili, & I. Gabisonia (Eds.), Criminal proceedings of Georgia: General part. Publishing House "World of Lawyers".
5. Gakhokidze, J., Gabisonia, I., Mamniashvili, M., & Moniava, P. (2018). Investigative law, Book I. Publishing House "World of Lawyers".
6. Mdinaradze, M. (2015). Some particular issues caused by legislative changes during the render justice. Law and the World, Special issue, Conference materials, 1(2).
7. Mskhiladze, L. (2015). Adversariality in criminal proceedings (Doctoral dissertation). Georgian Technical University.
8. Sanders, A. (1994). From suspect to trial, Oxford handbook of criminology.
9. Trechsel, S. (2010). Human rights in criminal proceedings. Tbilisi.
10. Criminal Procedure Code of Georgia <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>>

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის პრობლემატიკა გამოძიების სტადიაზე

მიხეილ მამნიაშვილი

✉ mikheil.mamniashvili@gmail.com

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ცდილობს გაიზიაროს ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მოდელი, რომელიც ეფუძნება „წმინდა“ თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. ამის თქმის საფუძველს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარე უფლებამოსილია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, სასამართლოს მეშვეობით მოიპოვოს, გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

ქართული სისხლის საპროცესო სამართლით გათვალისწინებული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის მოდელის საკანონმდებლო ინტერპრეტაციის თეორიული კვლევა სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიიდან ბრალდების მხარის (გამომძიებელი, პროკურორი) თანასწორად, დაცვის მხარესაც (ბრალდებული, ადვოკატი) აძლევს საშუალებას, საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით, ბრალდებულზე შერაცხული ბრალის უარსაყოფად, შეკრიბოს მათთვის სასარგებლო მტკიცებულებები.

ნაშრომში განალიზებულია ქართული სისხლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, მათი საპროცესო რეგულაციები და ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც ხელს უშლიან საგამომძიებო პრაქტიკაში მათ სრულყოფილ და სამართლიან რეალიზაციას. ყურადღებაა გამახვილებული გამომძიებლის უფლებამოსილების საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე, კერძოდ კი, გამომძიებელი არ უნდა წარმოადგენდეს ბრალდების მხარეს, არამედ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი საპროცესო სუბიექტი, რომელიც ვალდებული იქნება ერთნაირი გულმოდგინებით მოიპოვოს ბრალდების როგორც გამამტყუნებელი, ასევე, გამამართლებელი მტკიცებულებები, რაც ბუნებრივია, ხელს შეუწყობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის სამართლიან რეალიზაციას სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში.

საკვანძო სიტყვები: თანასწორობა და შეჯიბრებითობა, გამომძიებელი, სისხლისსამართლებრივი დევნა, გამოძიება

შესავალი

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ საჯარო ხასიათისაა და მას ახორციელებს პროკურორი. მხოლოდ მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა, დაიწყოს ან/და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რა დროსაც იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით, ასევე, იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის #181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. ამ დროს იგი ითვალისწინებს, რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა, რათა სახელმწიფო რესურსი ნაკლებად დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულებებზე. აქედან გამომდინარე, პროკურორმა უნდა გააანალიზოს დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება საჯარო ინტერესს კონკრეტულ დანაშაულზე დევნის დაწყება. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის მინისტრის აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, სხვა საკანონმდებლო აქტებს და მრავალ ხარვეზს შეიცავს, სამწუხაროდ, იგი დღესაც მოქმედებს.¹

1. თანასწორობისა და შეჭიბრებითობის დამახასიათებელი რეგულაციები

შეჭიბრებითი პროცესი მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან. ამ ეტაპიდან: ა) მხარეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სასამართლოს წინაშე დააყენონ შუამდგომლობა მტკიცებულებათა მოპოვების ან/და გამოთხოვის შესახებ; ბ) თავად, დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებანი; გ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი თუ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ბრალდებუ-

ლი ხდება ბრალდების კონტრარგუმენტების შემგროვებელი დამოუკიდებელი პირი, რომელიც მტკიცებულებათა შეგროვების გზებს თავად ამუშავებს. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი ძალა გააჩნია.

დაცვის მხარეს აღარ სჭირდება გამომძიებლისა და პროკურორისათვის მიმართვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ან რაიმე დოკუმენტების თუ სხვა მასალების მისაღებად, ამისათვის ისინი უფლებამოსილნი არიან უშუალოდ მიმართონ სასამართლოს, რითაც ამ მიმართულებით ბრალდების მხარესთან შედარებით თანაბარ პირობებში იმყოფებიან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოწმის დაკითხვის რეგულაცია გამომძიების სტადიაზე, როდესაც როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლესთან დააყენოს შუამდგომლობა გამოსაკითხი პირის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ.

ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. ასევე, ბრალდებას აქვს უფლება, იცოდეს დაცვის მხარის მტკიცებულებები. ფაქტობრივად, საქმის სასამართლო განხილვისას მხარეებისთვის კარგად არის ცნობილი ის მტკიცებულებები, რომელსაც ემყარება მხარეთა პოზიციები და მათ აქვთ სრული საშუალება, კვალიფიციურად მოემზადონ და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ მოწინააღმდეგე მხარეს.

დაცვის მხარისთვის დამოუკიდებლად გამომძიების უფლების მინიჭება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ევალება ბრალდების უარყოფის მტკიცების ტვირთი. შეჭიბრებითობის ფორმიდან გამომდინარე, შესაძლოა ობიექტურ პირს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ დაცვამ უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და კანონმდებელმა ამიტომ მიაჩნა მას ფართო უფლებები მტკიცებულებათა შეკრების მხრივ, მაგრამ ეს ასე არ არის. ბრალდების მტკიცების ტვირთი აწევს ბრალმდებელს და დაცვის მხარეს არა აქვს თავის მართლების

¹ გახოკიძე, ჯ., გაბისონია, ი., მამნიაშვილი, მ., მონიავა, პ. (2018). საგამოძიებო სამართალი, წიგნი I, „იურისტების სამყარო“, გვ. 213-229.

კანონისმიერი ვალდებულება – მიუხედავად მხარეთა თანასწორობისა, ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. „თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პროცესი მოწოდებულია იმისკენ, რომ მხარეები ჩაებნენ სამართლებრივ დავაში“, – აღნიშნავს შტეფან ტრექსელი.

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის გარანტიას იძლევა ისიც, რომ მხარეები ვალდებული არიან წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ერთმანეთის და სასამართლოს მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლო წარდგენასაც აპირებენ (სსსკ 83-ე მ). ამასთანავე, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ინფორმაციის დაცვის მხარის გაცნობის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ, დაცვის მხარეს ავალდებულებს ბრალდების მხარეს (მოთხოვნის შემთხვევაში) მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ის აპირებს, მეტიც, თუ მხარე დაარღვევს ინფორმაციის გაცვლის დადგენილ წესს და სრული მოცულობით არ გადასცემს მოწინააღმდეგე მხარეს ამ მომენტისათვის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, ეს გარემოება გამოიწვევს სასამართლოში ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი შემთხვევა, რომელიც ბრალდების მხარის უპირატესობაში შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ბრალდების მხარეს შეუძლია არ გადასცეს დაცვის მხარეს, მაგრამ მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. არსებობდა ასევე საგამონაკლისო უფლებები, რომლითაც დაცვის მხარე სარგებლობდა, კერძოდ, ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მტკიცებულების ბრალდების მხარისათვის წარუდგენლობის სახით, რაც არ იწვევდა სასამართლოს საქმის არსებით განხილვაზე ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. ასეთ დროს დაცვის მხარეს ეკისრებოდა ჯარიმა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურება, რაც გაუმართლებელი იყო, რადგან უფლების მინიჭება და შემდგომ ამ უფლების

გამოყენებისათვის დაჯარიმება უსამართლო იყო. მართალია, ეს ხარვეზი შემდგომ გასწორდა, მაგრამ აღნიშნული რეგულაცია (სსსკ 84-ე მ.) 2010 წლის 1 სექტემბრიდან კანონმდებლის მიერ ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

შეჯიბრებითი მოდელის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მტკიცებულებაა მხოლოდ სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობას, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს (სსსკ მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი). ამდენად, მხოლოდ სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი და მხარეთა უშუალო მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულება შეიძლება დაედოს საფუძვლად განაჩენს.

შეჯიბრებითი პროცესის მისაღწევად დადებით საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს მტკიცების სტანდარტების შემოღება. მტკიცების სტანდარტების რეალიზება დამოკიდებულია მხარეთა მიერ მოპოვებულ ინფორმაციებზე, მტკიცებულებებზე და არგუმენტირებულ პოზიციებზე. ოთხივე სტანდარტის შეფასება ხდება შეჯიბრებითობის საფუძველზე მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მეშვეობით, ამასთანავე, მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი შეაფასოს და დაუშვებლად ცნოს მხარეთა მიერ მოპოვებული და წარდგენილი მტკიცებულებები. ანუ მხოლოდ მტკიცებულების წარდგენა არ არის მთავარი საქმის გადაწყვეტისთვის, აქ მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი, რომელიც საბოლოოდ იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებათა დასაშვებობა დაკავშირებით.

მართალია, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრობლემემატიკის განხილვა საქმის სასამართლო განხილვის დროს ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, აღნიშნული პრინციპის რეალიზაცია უფრო მეტად შეიმჩნევა საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლოში, რა დროსაც მოსამართლე მიუკერძოებელი და გულგრილი დამკვირვებელია ყველაფრის, რაც დავის განხილვისას ხდება. ის ვალდებულია, შეასრულოს მხოლოდ ერთი

რამ, თვალყური ადევნოს იმას, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს შეექმნათ თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა წარდგენის, გამოკვლევისა და თავიანთი პოზიციების დასაბუთებისათვის², ხოლო როდესაც დასრულდება მტკიცებულებათა გამოკვლევა, მხარეთა კამათი და ბრალდებული საბოლოო სიტყვით გამოვა, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულება, რის შედეგადაც უნდა დაადგინოს განაჩენი – ბრალდებული გაამართლოს ან დამნაშავედ ცნოს დანაშაულის ჩადენაში და შეეფარდოს სასჯელის ზომა.

2. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის რეალიზაციის ხელის შეშლელი ბარემოები

როგორც სამართლიანადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, მხარეთა თანასწორობას და შეჯიბრებითობას სისხლის სამართალწარმოების პროცესში ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები (ბრალდება, დაცვა) არიან თანასწორ მდგომარეობაში. თანასწორობა კი გულისხმობს იურიდიულ და ფაქტობრივ თანასწორობას. იურიდიული თანასწორობა მოქმედი კანონმდებლობით ფორმალურია, ხოლო იმ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე (იგულისხმება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე), რაზეც აღმოცენდა საქმის წარმოების წმინდა შეჯიბრებითობის ფორმა, ფაქტობრივი თანასწორობა პრობლემატურია.³

გამოძიების სტადიაზე თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციას უფრო მეტად ხელს უშლის პროკურორისა და, განსაკუთრებით, გამომძიებლის სტატუსის არასწორი და, შეიძლება ითქვას, უსამართლო ინტერპრეტაცია. ეს ორივე სუბიექტი ბრალდების მხარედ გვევლინებიან. პროკურორი არა მარტო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს, არამედ ის გამომძიების

საპროცესო ხელმძღვანელია. მისი საქმიანობა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე მიმართულია დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებათა შეკრებისაკენ, რა დროსაც მის გვერდით მოიაზრება, ასევე, გამომძიებელი და ოპერატიული სამძებრო სამსახურები.

ამდენად, როგორც ვხედავთ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტადიიდან ერთმანეთს უპირისპირდება ორი მხარე, პირველი – პროკურორი და გამომძიებელი, რომელთა ვალდებულებაში შედის დანაშაულის გახსნა, გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ისინი აღჭურვილნი არიან დანაშაულის გახსნისა და გამოძიების თანამედროვე კრიმინალისტიკური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით, უფლებამოსილნი არიან, მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით, ცალკეული სუბიექტების მიმართ გამოიყენონ საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები (მოყვანა, დაკავება, დაპატიმრება და ა.შ.) და მეორე – ბრალდებული და ადვოკატი, რომლებიც არც თუ იშვიათად არასმქონებელნი არიან და გამოძიების ჩატარების სახსრებიც კი არ გააჩნიათ.

ამასთანავე, მხოლოდ ბრალდების მხარის ექსკლუზიური უფლებაა ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედება, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, გადაუდებელი აუცილებლობით ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება, განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. მართალია, ბრალდების მხარე სახელმწიფოა და მას პროცესუალურად მეტი ბერკეტი უნდა გააჩნდეს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც მხარეთა თანასწორობაზე უკიდურესად უარყოფითად აისახება.

ყველაზე უფრო მეტად თანასწორობისა და შეჯიბრებითობის სამართალწარმოებას ხელს უშლის ის, რომ გამომძიებელი ბრალდების მხარედ გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ მას კანონმდებლობით არა აქვს არც ერთი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ის არ ახორციელებს დევნას, მას არ გამოაქვს დადგენილება ბრალდების შესახებ – იგი არ მიმართავს სასამართლოს რომელიმე სახის აღკვეთის ღონისძიების ან იძულებითი ხასიათის ღონისძიების გამოყენებაზე,

2 Sanders, A. (1994). From suspect to trial, Oxford handbook of criminology. p. 131.

3 მსხილაძე, ლ. (2015). შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში (დოქტორის დისერტაცია). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. გვ. 86.

არ იწყებს და არ აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, მას არც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია, გამომძიებელი ბრალდების მხარეს წარმოადგენს და ვალდებულია, შეკრიბოს მხოლოდ ბრალდების გამამტყუნებელი მტკიცებულებები, მაგრამ ის ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს სრულად და ობიექტურად, ყოველმხრივ (სსსკ 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული შეხედულება, მაგალითად, ნ. მეზვრიშვილს მიაჩნია, რომ სსსკ 37-ე მუხლი გამომძიებელს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურ ჩატარებას აკისრებს, რაც გარკვეულწილად მის მიერ, როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელ, ასევე გამამართლებელ მტკიცებულების მოპოვებას გულისხმობს.⁴

ჩვენ ვერ გავიზიარებთ მკვლევრის აღნიშნულ მოსაზრებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სიტყვა „ობიექტურობა“ უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გამომძიებლის ვალდებულებას, ერთნაირი გულმოდგინებით შეამოწმოს როგორც ბრალდების გამამტყუნებელი, ასევე, გამამართლებელი მტკიცებულებები, პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ასევე, შემამსუბუქებელი გარემოებები.

ობიექტურობა სამართლებრივი და ზნეობრივი მოთხოვნაა. იგი მოიცავს გამომძიებლის მიუკერძოებლობას, გამორიცხავს მისი მხრიდან სუბიექტივიზმს, ტენდენციურობას. მიუკერძოებლობა იმასაც გულისხმობს, რომ გამომძიებელი არ უნდა იყოს დაინტერესებული საქმის შედეგით,⁵ მაგრამ მოქმედი საპროცესო კოდექსით გამომძიებელი ბრალდების მხარედ გვევლინება და შესაბამისად, სრულიად ზედმეტია საუბარი მის ობიექტურობაზე, რადგანაც მის ვალდებულებაში მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებათა მოპოვება შედის. ასეთი პირობების არსებობისას წარმოდგენილად გვეჩვენება გამომძიებელი იყოს ბრალდების მხარე და თანაც – ობიექტური,

და თან არ იყოს დაინტერესებული საქმის შედეგებით, კიდევ მეტი, გამომძიებლის ობიექტურობაში – ეჭვი თვით კანონმდებელსაც კი შეაქვს, როდესაც შემოაქვს სამართლებრივი ნორმა და იძულებულია, არაუფლებამოსილ სახელმწიფო მოხელეს – საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელს – დაავალოს დაცვის მხარის მიერ სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილებული საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.) ჩატარება მიანდოს არა იმ გამომძიებელს, ვისაც წარმოებაში აქვს მოცემული სისხლის სამართლის საქმე (ანუ ეჭვი ეპარება მის ობიექტურობაში), არამედ შეარჩიოს სხვა გამომძიებელი. აქვე იბადება ლეგიტიმური შეკითხვა, რა გარანტია არსებობს იმისა, რომ სხვა გამომძიებელი „ობიექტურობას“ გამოიჩინოს, ისიც ხომ ბრალდების მხარეს წარმოადგენს?

ასეთი პირობების არსებობისას წარმოიქმნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც ერთსა და იგივე საქმეზე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს ორი გამომძიებელი, ერთი, ვისაც საქმე აქვს წარმოებაში და მეორე, რომელმაც უნდა შეასრულოს დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა ორივე მათგანი რეალურად ბრალდების მხარეს წარმოადგენს.

ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბრალდებისა და გამოძიების ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნა; გამომძიებელს უნდა ჩამოსცილდეს ბრალდების ფუნქცია. ის არ უნდა წარმოადგენდეს ბრალდების მხარეს, არამედ უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც დაეკისრება საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარება, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა შეამოწმოს ბრალდების როგორც გამამტყუნებელი, ასევე, გამამართლებელი მტკიცებულებები, პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ასევე, შემამსუბუქებელი გარემოებები.⁶

ჩვენეულ ხედვას ამ მიმართულებით გამოთქვამს დ. ბენიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ უმჯობესია გამომძიებელს ჩამოცილდეს ბრალდების ფუნქცია და მას დაეკისროს მხოლოდ

4 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. (2015). გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი. გვ. 171-172.

5 აქუბარდია, ი. (2014). მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში. წიგნში: მზია ლეკვიშვილი-85 (საიუბილეო კრებული), „იურისტების სამყარო“. გვ.136.

6 გახოკიძე, ჯ., მამნიაშვილი, მ. (2015). გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში. წიგნში: ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), „იურისტების სამყარო“, გვ. 139-140.

საქმის მიუკერძოებელი, სრული და ობიექტური გამოძიება: P „გამომძიებელი, – წერს ავტორი, – არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალდების მხარედ. ამის გამო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილიდან სიტყვა „გამომძიებელი“ ამოღებული უნდა იქნეს“.⁷

პროფ. ლ. მსხილაძეც სავსებით ეთანხმება გამომძიებლის ბრალდების მხარისაგან ჩამოცილების კონცეფციას და მიაჩნია, რომ საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ამგვარი ცვლილებების განხორციელებით უკეთ მოხდება სამართალწარმოების პროცესში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის წარმოება.⁸

მ. მდინარაძესაც ეჭვი შეაქვს სხვა გამომძიებლის მიერ დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების „ობიექტურობაში“, რომელიც, ჯერ ერთი, ბრალდების მხარეს წარმოადგენს და, მეორეც, იმავე უწყების თანამშრომელია და სავსებით სამართლიანად არალოგიკურად მიაჩნია იმის მტკიცებაც, რომ ის საკუთარი კოლეგიის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, ამიტომ ის ფიქრობს, რომ დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს ადამიანისათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას (ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.), უნდა ჩაატაროს უშუალოდ დაცვის მხარემ (ადვოკატმა, ბრალდებულმა).⁹ ეს შეხედულება შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად თავისთავად ცუდი არ არის, რადგანაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, უკეთ მოხდება მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაცია, მაგრამ მაინც უმჯობესია იძულებითი სახის საგამომძიებო მოქმედება ჩაატაროს არა დაცვის მხარემ, არამედ სახელმწიფო მოხელემ, გამომძიებელმა, რადგანაც სახელმწიფო უნდა იყოს ამ საგამომძიებო მოქმედებათა კანონიერად ჩა-

ტარების ერთადერთი მყარი გარანტი, მაგრამ ერთი პირობით: თუ ის არ წარმოადგენს ბრალდების მხარეს, არამედ იქნება მიუკერძოებელი და ნეიტრალური ფიგურა სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

შეუძლებელია, არ შევვხვით თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ცალკეულ უარყოფით ასპექტებს, რომელთა რეალიზაციაც გამომძიების სტადიაზე უკიდურესად უარყოფითად აისახება, კერძოდ: კანონი ბრალდების მხარეს არ ავალდებულებს უკვე მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულებების გადაცემასაც. სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად, ბრალდების მხარე ვალდებულია, დაცვის მხარეს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. თუ კანონს სიტყვასიტყვით განვმარტავთ, ცხადი ხდება, რომ თუ არ იქნება დაცვის მხარის მოთხოვნა, კანონი ბრალდების მხარეს არ ავალდებულებს დაცვის მხარისთვის გამამართლებელი მტკიცებულებების გადაცემას, რაც კოდექსის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

დაზარალებულის ბრალდების მხარის შემადგენლობიდან ამორიცხვამ შეჯიბრებითობა გახადა უფრო ფორმალური და უარყოფითი გავლენა იქონია შეჯიბრებითობის პროცესზე, რადგანაც შესუსტდა მისი როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში. ამის თქმის საშუალებას იძლევა ის, რომ მისი სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ მოწმის სტატუსით შემოიფარგლება.

დაცვის მხარე არ არის ბრალდების თანაბარ პირობებში საპროცესო შეთანხმების დადებისას, რადგან მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა პროკურორის ნებაზე დამოკიდებული და მისი დისკრეციული უფლების არანაირი კონტროლის საკანონმდებლო მექანიზმები არ არსებობს.

დასკვნა

გამომძიებლის სტატუსის ამგვარი რეგულაცია, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ეჭვგარეშეა, ხელს შეუწყობდა სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უკეთ და რეალურ განხორციელებას. გამომძიებლის უფლებამო-

7 ბენიძე, დ. (2014). შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. სამეცნიერო შრომების კრებული. <https://www.nplg.gov>

8 მსხილაძე, ლ. (2015). შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში (დოქტორის დისერტაცია). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. გვ. 92-97.

9 მდინარაძე, მ. (2015). საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ზოგიერთი პრობლემა მართლმსაჯულების განხორციელებისას. სამართალი და მსოფლიო, სპეციალური გამოცემა, 1(2), 94-96.

სილებიდან გამომდინარე და მისივე მეშვეობით, ორივე მხარეს თანაბრად მიეცემოდა მათთვის სასარგებლო მტკიცებულებების მიღებისა და რეალიზაციის შესაძლებლობა.

ჩვენი ეს მოსაზრება გამომდინარეობს, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის იმ იმპერატიული ნორმის დანაწესიდან, რომლითაც მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება კრიმინალური პოლიცია და გამოძიება.

დაზარალებულის ბრალდების მხარის შემადგენლობიდან ამორიცხვამ შეჭიბრებითობა გახადა უფრო ფორმალური და უარყოფითი გავლენა იქონია შეჭიბრებითობის პროცესზე,

რადგანაც შესუსტდა მისი როლი სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ კანონმდებელი იზრუნებს დაზარალებულის უფლებების გაზრდაზე.

ამდენად, როგორც დავრწმუნდით, მხარეთა იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს მათ ფაქტობრივ თანასწორობას, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, კანონმდებელმა ისეთი სახის რეგულაცია უნდა გაითვალისწინოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, რომ მინიმუმამდე მაინც იქნეს დაყვანილი მხარეთა ფაქტობრივი უთანასწორობა, რაც ბუნებრივია, შეჭიბრებითობაზეც დადებითად აისახება.

ბიბლიოგრაფია:

1. აქუბარდია, ი. (2014). მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჭიბრებით სამართალწარმოებაში. წიგნი: მზია ლეკვეიშვილი-85 (საიუბილეო კრებული), „იურისტების სამყარო“.
2. ბენიძე, დ. (2014). შეჭიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. სამეცნიერო შრომების კრებული. <https://www.nplg.gov>
3. გახოკიძე, ჯ., გაბისონია, ი., მამნიაშვილი, მ., მონიავა, პ. (2018). საგამოძიებო სამართალი, წიგნი I, „იურისტების სამყარო“.
4. გახოკიძე, ჯ., მამნიაშვილი, მ. (2015). გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში. წიგნი: ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), „იურისტების სამყარო“.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. (2015). გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი.
6. მსხილაძე, ლ. (2015). შეჭიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში (დოქტორის დისერტაცია). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
7. მდინარაძე, მ. (2015). საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ზოგიერთი პრობლემა მართლმსაჯულების განხორციელებისას. სამართალი და მსოფლიო, სპეციალური გამოცემა, 1(2).
8. ტრექსელი, შ. (2010). ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი.
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>
10. Sanders, A. (1994). From suspect to trial, Oxford handbook of criminology.